

ქ.თბილისი

2017 წლის 3 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 3 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სარაგბო კლუბ „დინამო“-ს პრეზიდენტის სერგო რამიშვილის განცხადება და ვიდეომასალა, ამა წლის 7 ოქტომბერს, I ლიგის კალენდარულ მატჩზე თბ „დინამო“-სა და პატარძელის ვეფხვებს“ შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ.

სადისციპლინო კომისია, სადისციპლინო კოდექსის 4.1. პუნქტის საფუძველზე განიხილავს სადისციპლინო დარღვევებს, რომელიც გათვალისწინებულია სადისციპლინო კოდექსით.

სარაგბო კლუბ „დინამო“-ს პრეზიდენტის სერგო რამიშვილის განცხადებიდან სადისციპლინო კომისიამ განიხილა 1 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინციდენტი (რაც შეეხება განცხადების მე-8 პუნქტში მოყვანილ ფაქტს, სრკ სადისციპლინო კომისიამ ამა წლის 9 ოქტომბერს იმსჯელა აღნიშნულზე და მიიღო გადაწყვეტილება (იხილეთ სადისციპლინო კომისიის 2017 წლის ოქმი № 32)) და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მატჩის ვიდეომასალის შესწავლისას, რომლითაც არის შესაძლებელი ზემოთ მოყვანილი ფაქტების დადგენა, სარაგბო კლუბ „ვეფხვების“ მოთამაშეების (#19, #5) მხრიდან არ იკვეთება სრკ სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული დარღვევა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/